

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, წინიშვილის/რუსთაველის ქ. 35/32 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რადიოფიზიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. მათ შორის: - სპეციალობის სავალდებულო კურსები - 90 ECTS კრედიტი, მათ შორის სამაგისტრო შრომა 30 ECTS კრედიტი; - სპეციალობის არჩევითი ან საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები - 30 ECTS კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> - უზრუნველყოს სტუდენტის ზოგადი მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება. მოამზადოს პროფესიონალი ფიზიკოსები/რადიოფიზიკოსები, რომლებსაც ეცოდინებათ სხვადასხვა ფიზიკური ბუნების ტალღების გავრცელების ძირითადი კანონზომიერებები სხვადასხვა პარამეტრების მქონე გარემოებში. ფლობდნენ თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცეში, საკომუნიკაციო საშუალებების თეორიული ასპექტების კვლევის და შესწავლის მეთოდებს. შეემლოთ რეალურ გარემოში ტალღური პროცესების აღწერა კარგად ცნობილი მათემატიკური, სპეციფიკური რადიოფიზიკური და მაგნიტოპტიკური მეთოდებით, აგრეთვე რიცხვითი და კომპიუტერული მეთოდების გამოყენება და გარემოში ტალღური პროცესების პროგნოზირება რეალური და რიცხვითი ექსპერიმენტების მონაცემთა საფუძველზე. - მომავალ მაგისტრს გამოუმუშავოს შრომის მოყვარეობა; მისწრაფება პროფესიული სრულყოფისაკენ; პასუხისმგებლობის გრძნობა; მაღალი საუნივერსიტეტო კულტურა და ფართო ერუდიცია. აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი - მეცნიერების მაგისტრი ფიზიკაში, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. ხელი შეუწყოს სტუდენტის, როგორც პიროვნების ცნობიერებისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.
სწავლის შედეგები	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფუნდამენტური ფიზიკის, ღრმა და სისტემური ცოდნა (მაღალსიხშირული ელექტროდინამიკა, პლაზმის ელექტროდინამიკა, რხევების თეორია, ტალღური პროცესების თეორია, სტატისტიკური რადიოფიზიკა, მაგნიტური მოვლენების ფიზიკა და სხვა). - ხშირად გამოყენებადი კვლევის ცნობილი რადიოფიზიკური და მაგნიტოპტიკური მეთოდების, სპეციფიკური მიახლოებითი მეთოდების, აგრეთვე რიცხვითი და კომპიუტერული მეთოდებისა და პროგრამული გარსაცემების სისტემური ცოდნა (შეშფოთების მეთოდი, გეომეტრიული მიახლოების ოპტიკის მეთოდი, მონტე-კარლოს მეთოდი, ფურიეს ინტეგრალური მეთოდი, MathCad და სხვა); - სპეციალიზირებული სასწავლო კურსების (ტალღური პროცესები შემთხვევითად-არაერთგვაროვან გარემოებში, ატმოსფეროს რადიოფიზიკა, გარემოს სპექტროსკოპია და მონიტორინგი, ოკეანოგრაფია, ლაზერული ფიზიკა, დისპერსიულ გარემოთა მაგნიტო ოპტიკა) სისტემური და უახლოესი ცოდნა. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ექსპერიმენტის დამოუკიდებლად დაგეგმვა და შესრულება რადიოფიზიკური და მაგნიტოპტიკური მეთოდების საფუძველზე. - რადიოფიზიკური და მაგნიტოპტიკური მეთოდების გამოყენება რიგი ეკოლოგიური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისას ფიზიკის ქვედარგებსა და სხვა სფეროებში, კერძოდ, კავშირგაბმულობაში, ატმოსფეროს

	<p>ფიზიკაში, გეოფიზიკაში, რადიონუკლიდებში, რადიომეტრიასა და მედიცინაში და სხვა. კომპლექსური პროექტების დაგეგმვა და გადაწყვეტის, ახალი გზების ძიება უახლოესი რადიოფიზიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p> <ul style="list-style-type: none"> - გაანგარიშების დამოუკიდებლად შესრულება, თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზური და რიცხვითი დამუშავება პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით, მათში სხვადასხვა პროგრამული გარსაცემების და პროგრამირების ენის (ენების) გამოყენებით.
შეფასების წესი	<p>ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D – დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება აქვს; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი აქვს თავიდან გასავლელი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>ნუგზარ ღომიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 577 17 97 27 ელ. ფოსტა: gomidze@bsu.edu.ge</p>